საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-564

18/06/2019

ქ. თბილისი

ქ. ჭიათურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. ჭიათურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის განცხადება.
წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, ქ. ჭიათურის მიმდებარე ტერიტორიაზე გათვალისწინებულია წელიწადში 300 000 m^3 მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება.

სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ზემო იმერეთის მაღლობზე, მდ. ყვირილას კანიონისებური ხეობის მარჯვენა ფერდობის ძირში. ობიექტის ტერიტორია წარმოადგენს მიწისქვეშა მტკნარი წყლის გამოსავალს, რომელიც წყაროს სახით გამოედინება ხეობის მარჯვენა მხარეს, პლატოს ფლატის ძირში. (კოორდინატები: X-362179; Y- 4685259.)

ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს დაახლ. 390 მეტრს. საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება მარტივ კატეგორიას. წყალშემცველი კომპლექსის კვება ხდება ატმოსფერული ნალექების მეშვეობით, ნაწილობრივ ზედაპირული წყლებით.

სალიცენზიო ობიექტის ზუსტი დებიტი უცნობია. მოთხოვნილი 300 000 m^3/წ რაოდენობის წყალი წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. მიწისქვეშა წყლების გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით. ჰორიზონტის წყლები ქიმიური შემადგენლობით ძირითადად ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-კალციუმიან-მანგანუმიანი ტიპისაა. საერთო მინერალიზაცია 0,3 დან 0.7 გ/ლ-მდე.

სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი სალიცენზიო ობიექტი საჭიროებს კაპტაჟის აღდგენას, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას და შემოღობვას. ობიექტის მოწყობისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა. სამუშაოების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.

წიაღითსარგებლობის ობიექტი მდებარეობს საავტომობილო გზიდან 4 მეტრში, შესაბამისად წიაღისეულის მოპოვებამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის. ჰორიზონტის წყლების სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროცესში ხმაურის წარმოქმნას ადგილი არ ექნება. აღნიშნული საქმიანობა არ უკავშირდება რაიმე სახის მასშტაბური ავარიის ან კატასტროფის რისკს.

საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ჭიათურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ქ. ჭიათურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი